ცნობა

ირაკლი კობახიძე დაიბადა 1978 წლის 25 სექტემბერს, ქ. თბილისში;

2000 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი;

2005 წელს უმაღლესი შეფასებით დაამთავრა ჰ. ჰაინეს სახელობის დიუსელდორფის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურა;

2006 წელს ჰ. ჰაინეს სახელობის დიუსელდორფის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი;

2000-2001 წლებში იყო აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საზოგადოებრივი განათლების პროექტის რეგიონული კოორდინატორი;

2006 – 2014 წლებში იყო გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული განვითარების პროექტების ექსპერტი და მენეჯერი;

2006 – 2017 წლებში იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი და ასოცირებული პროფესორი;

2011 – 2014 წლებში იყო კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

2015 – 2021 წლებში იყო პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელი მდივანი;

2016 წლიდან 2024 წლის 8 თებერვლამდე იყო საქართველოს პარლამენტის წევრი;

2016 – 2019 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე;

2020 – 2022 წლებში იყო ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი;

2021 წლიდან 2024 წლის 24 იანვრამდე იყო პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;

2017 წლიდან არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი;

2024 წლის 8 თებერვლიდან დღემდე იკავებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობას;

2021 წელს დაჯილდოვდა თავისუფლების საპარლამენტო ორდენით;

ფლობს ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს.

ცნობა

ალექსანდრე წულაძე დაიბადა 1984 წლის 7 ივნისს;

2006 წელს დაასრულა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მაგისტრთან გათანაბრებული;

2010 წელს – რომის „ლა საპიენცას“ უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურა;

2016 წელს მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორის ხარისხი;

2005 წლიდან 2006 წლამდე სტაჟირება გაიარა საქართველოს პარლამენტის იურიდიულ კომიტეტსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროში;

2007 წლიდან 2009 წლამდე იყო იურიდიული კომპანიის იურისტი;

2010 წლიდან 2011 წლამდე – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული ბიუროს უფროსი;

2011-2012 წლებში – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მრჩეველი;

2012 წლიდან 2015 წლამდე იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების უფროსი;

2015 – 2017 წლებში – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო დეპარტამენტის უფროსი;

2017 წლიდან 2019 წლამდე გახლდათ თბილისის საქალაქო სასამართლოს მედიატორი;

2017 – 2019 წლებში – იურიდიული კომპანია „CLL Law Firm-ის“ მმართველი პარტნიორი;

2019 წლიდან 2023 წლამდე – საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე;

2023 წლის 28 დეკემბრიდან 2024 წლის აგვისტომდე იყო საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის პირველი მოადგილე;
2024 წლის აგვისტოდან 2024 წლის ოქტომბრამდე – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი;
2024 წლის ოქტომბრიდან დღემდე გახლავთ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი;

ალექსანდრე წულაძე არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი;

ფლობს ინგლისურ, იტალიურ და რუსულ ენებს;

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

ცნობა

დავით სონღულაშვილი დაიბადა 1983 წლის 1 იანვარს;

2008 წელს დაამთავრა გრენობლის ბიზნესის უმაღლესი სკოლა, კვალიფიკაციით – საერთაშორისო ბიზნესის მაგისტრი;

2006 წელს დაამთავრა კავკასიის ბიზნეს სკოლა, კვალიფიკაციით – ბიზნესის ადმინისტრირება, მარკეტინგი;

2004 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კვალიფიკაციით – ეკონომიკური ინფორმატიკა;

2001 წელს სწავლობდა ეკონომიკურ მეცნიერებებს მანჩესტერის მეტროპოლიტენის უნივერსიტეტში, სტუდენტური გაცვლითი პროგრამის ფარგლებში;

2003 წელს იყო ტელეკომპანია „მზის“ გაყიდვების მენეჯერი;

2004 წელს – საქართველოს ეკონომიკის მინისტრის თანაშემწე;

2005 წელს იყო საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი;

2004 – 2006 წლებში – სს „საქართველოს ბანკის“ შესყიდვების დეპარტამენტის დირექტორი;

2007 – 2016 წლებში იყო შპს „ედრესის“ მმართველი დირექტორი;

2016 წლიდან 2020 წლამდე იყო საქართველოს პარლამენტის წევრი მაჟორიტარი დეპუტატის მანდატით (გურჯაანის მუნიციპალიტეტი);

2019-2020 წლებში – საქართველოს პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე;

2019-2020 წლებში იყო EURONEST PA-ს საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელი;

2019-2020 წლებში – EU-GEORGIA PAC-ისა და PACE-ის წევრი;

2020 წლიდან 2024 წლამდე იყო საქართველოს პარლამენტის წევრი მაჟორიტარი დეპუტატის მანდატით (გურჯაანი, სიღნაღი, საგარეჯო და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტები);

2020 წლიდან 2024 წლამდე – საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე;
2021 – 2024 წლებში იყო APF-ის საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელი;
2023 წელს – ფრანკოფონიის საპარლამენტო ასამბლეის ბიუროს გადაწყვეტილებით, მიღებული აქვს საერთაშორისო ჯილდო – „პლეადის“ ორდენის ოფიცრის ხარისხის მედალი, ფრანკოფონიის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის;

ფლობს ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებს;

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ცნობა

ლევან დავითაშვილი დაიბადა 1978 წლის 10 დეკემბერს;

1999 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატი;
2001 წელს – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო ბიზნესის მართვის მაგისტრატურა;
2003 წელს – მილანის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის მაგისტრატურა;
1997 წლიდან 1999 წლამდე მუშაობდა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სადაზღვევო რეგულაციებისა და სტანდარტების დეპარტამენტის უფროსად;
1999 წლის ივნისიდან სექტემბრამდე იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სოციალური გადასახადების დეპარტამენტის უფროსი;
1999 – 2001 წლებში – მსოფლიო ბანკის საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და მართვის დახმარების ცენტრის (CERMA) მთავარი ბიზნეს-კონსულტანტი;
2002 წლიდან 2007 წლამდე – შპს „წინანდლის ძველი მარნის“ გენერალური მენეჯერი;
2007 – 2009 წლებში - USAID-ის სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის Ag Vantage-ის მარკეტინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
2009 – 2012 წლებში იყო შპს „SCHUCHMANN WINES GEORGIA-ს“ გაყიდვებისა და მარკეტინგის დირექტორი;
2010-2011 წლებში - საქართველოს ღვინის მწარმოებელთა კავშირის გამგეობის წევრი, გამგეობის თავმჯდომარე;
2012 წლის 4 დეკემბრიდან 2014 წლის 5 ნოემბრამდე – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი;

2014 წლის 5 ნოემბრიდან 2016 წლის 8 სექტემბრამდე – საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე;

2016 წლის 9 სექტემბრიდან 2017 წლის 15 დეკემბრამდე – საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი;

2017 წლის 15 დეკემბრიდან 2022 წლის 9 თებერვლამდე – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი;

2022 წლის 9 თებერვლიდან დღემდე არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი;

2021 წლის 12 ივლისიდან 2024 წლის 9 თებერვლამდე ასრულებდა ვიცე-პრემიერის მოვალეობას;

2024 წლის 9 თებერვლიდან დღემდე ასრულებს პირველი ვიცე-პრემიერის მოვალეობას;

ფლობს ინგლისურ, იტალიურ და რუსულ ენებს;

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ცნობა

ირაკლი ჩიქოვანი დაიბადა 1980 წლის 28 აგვისტოს, ქალაქ ზუგდიდში;

2002 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, საერთაშორისო სამართლის სპეციალობით;

2005 წელს დაამთავრა ნატოს თავდაცვის კოლეჯი (რომი, იტალია);.

2001 – 2004 წლებში იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იურისკონსულტი, განყოფილების უფროსი, დეპარტამენტის დირექტორი;

2004-2005 წლებში – საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის დეპარტამენტის დირექტორი;

2005 – 2007 წლებში – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი;

2007 – 2009 წლებში – გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე;

2010 – 2016 წლებში – პოლიტიკური პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ გამგეობის წევრი, გენერალური მდივანი;

2012 – 2016 წლებში – საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრი კოალიცია „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნებიდან“;

2012 – 2014 წლებში – საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნება – თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარე;

2014 – 2016 წლებში – საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარე;

2018-2019 წლებში – საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი სტრატეგიული კომუნიკაციების საკითხებში;

2019-2020 წლებში – საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი საგარეო ურთიერთობების საკითხებში;

2020 – 2024 წლებში - საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრი პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოდან"; 2023 წლიდან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე;

2024 წლიდან დღემდე – საქართველოს თავდაცვის მინისტრი, ვიცე-პრემიერი;

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი და პირველი კლასის სახელმწიფო მრჩევლის საკლასო ჩინი;

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ცნობა

ანრი ოხანაშვილი დაიბადა 1985 წლის 10 ივნისს;

2006 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (ბაკალავრიატი);

2008 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (მაგისტრატურა);

2010 წელს დაამთავრა იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (LL.M.);

2020 წელს დაიცვა დისერტაცია ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში და მიენიჭა სამართლის დოქტორის (Doctor iuris) აკადემიური ხარისხი;

2010 – 2023 წლებში იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი;

2007 – 2012 წლებში მუშაობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ პოზიციაზე;

2008 – 2010 წლებში იყო ფოლკსვაგენის ფონდის („VW-Stiftung“) მიერ დაფინანსებული პროექტის მეცნიერ-თანამშრომელი;

2008 და 2011-2012 წლებში იყო სტუდენტური გაცვლითი სემინარის – „აღმოსავლეთ-დასავლეთის ქსელის“ („Netzwerk Ost-West“) სამეცნიერო ხელმძღვანელი;

2016-2017 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი;

2017 წლიდან არის საქართველოს პარლამენტის წევრი;

2019 – 2024 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე;

2019 – 2024 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სათათბირო ორგანოს (ხაზინადართა საბჭოს) წევრი;

2019 – 2024 წლებში – საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში შექმნილი ნდობის ჯგუფის წევრი;

2019 – 2023 წლებში – საპროკურორო საბჭოს წევრი;

2021 – 2024 წლებში – ავსტრიის რესპუბლიკის პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი;

2015 წლიდან გახლავთ გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ელექტრონული ჟურნალის (DGStZ) ერთ-ერთი გამომცემელი;

2023 წლიდან არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

არის სამეცნიერო ნაშრომების ავტორი;

ფლობს გერმანულ, ინგლისურ და რუსულ ენებს;

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ცნობა

თინათინ (თიკა) რუხაძე დაიბადა 1970 წლის 30 ივნისს;

1994 წელს დაამთავრა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, კვალიფიკაციით – მუსიკისმცოდნე;

1989 – 1992 წლებში იყო ფორტეპიანოს მასწავლებელი თბილისის მე-4 სამუსიკო სკოლაში;

1991 – 1993 წლებში იყო საქართველოს კულტურის სამინისტროს „ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანების“ დირექტორის მოადგილე, ხელმძღვანელობდა კამერულ ორკესტრს – „თბილისის კონცერტინოს“;

1994 წელს – სსიპ – საქტელერადიომაუწყებლობის I არხის პროდიუსერი;

1995 წელს იყო სსიპ – საქტელერადიომაუწყებლობის II არხის გამომშვები რედაქტორი;

1994 – 1996 წლებში იყო ტელეფესტივალ „მანას“ აღმასრულებელი დირექტორი;

1995 – 1999 წლებში – შპს „TBC TV-ის“ გენერალური პროდიუსერი;

1999 – 2002 წლებში – სსიპ – საქტელერადიომაუწყებლობის პროდიუსერთა საბჭოს აპარატის უფროსი;

2002 – 2004 წლებში იყო შპს „მელოდია არტის“ დირექტორის მოადგილე, შემდგომ – გენერალური პროდიუსერი;

2004-2005 წლებში – სსიპ – თბილისის ვასო აბაშიძის მუსიკისა და დრამის თეატრის გენერალური დირექტორი;

2005 – 2010 წლებში იყო შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი;

2011 წლიდან არის შპს „ბიზნეს კონსალტინგ კომპანის“ დამფუძნებელი პარტნიორი;

2014 – 2016 წლებში იყო თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მრჩეველი განათლებისა და კულტურის საკითხებში;

2016 – 2024 წლებში – ა(ა)იპ – ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დირექტორი;

2024 წლის 18 ოქტომბერს დაინიშნა საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრად;

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ცნობა

მიხეილ სარჯველაძე დაიბადა 1978 წლის 22 დეკემბერს;

2001 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მაგისტრთან გათანაბრებული;

1999-2000 წლებში - სპს „კორძაძე და სვანიძე - ადვოკატები", იურისტი;

2000 – 2003 წლებში - სპს „კორძაძე და სვანიძე - ადვოკატები", ადვოკატი;

2003 – 2010 წლებში - სპს „საადვოკატო ბიურო სვანიძე და პარტნიორები", ადვოკატი და პარტნიორი;

2007 – 2008 წლებში და 2013 წელს - კავკასიის სამართლის სკოლა, ლექტორი;

2010 – 2012 წლებში სპს „საადვოკატო და საკონსულტაციო გაერთიანება - მიხეილ სარჯველაძე და არჩილ მშვენიერაძე", ადვოკატი და პარტნიორი;

2012 წლის 19 ნოემბრიდან 2013 წლის 5 ივლისის ჩათვლით - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი;

2013 წლის 6 ივლისიდან 2013 წლის 26 ნოემბრის ჩათვლით - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე;

2013 წლის 22 ნოემბრიდან 2016 წლის 26 ნოემბრის ჩათვლით - საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე;

2016 წლის 28 ნოემბრიდან 2018 წლის 20 ივნისის ჩათვლით - საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე;

2018 წლის 21 ივნისიდან 2020 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით - საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე;

2020 წლის 11 დეკემბრიდან 2024 წლის მარტი - საქართველოს პარლამენტის წევრი, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე;

საპარლამენტო კომისიები:

2022 წელს - „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია - კომისიის წევრი;

2021 წელს - „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია - კომისიის წევრი;

საპარლამენტო საბჭოები:

2021 წელს - გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო - საბჭოს წევრი;

2021 წელს - ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო - საბჭოს წევრი;

2021 წელს - ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო - საბჭოს წევრი საპარლამენტო დელეგაცია:

2024 წელს - ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა (PACE), - საპარლამენტო დელეგაციის წევრი;

2021 წელს - ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეა (EURONEST PA), - საპარლამენტო დელეგაციის წევრი;

2022 წელს - ევროპის საჯარო სამართლის ორგანიზაციის (EPLO) სამართლის უზენაესობის გლობალური კომისიის წევრი;

2024 წლის 11 მარტიდან დღემდე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი;

ფლობს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებს;

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ცნობა

ირაკლი ქარსელაძე დაიბადა 1978 წლის 28 თებერვალს;

1999 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სპეციალობით;

2004 წლიდან 2006 წლამდე იყო გაეროს განვითარების პროგრამის საჰაერო და საზღვაო პორტების სამხრეთ კავკასიის ანტი-ნარკოტიკული პროგრამის პროექტის ექსპერტი;

2006 – 2009 წლებში – სს „ქართუ ჯგუფის“ საერთაშორისო შესყიდვების დეპარტამენტის დირექტორი;

2009-2010 წლებში – სს „ლომისის“ – ლუდსახარშ ნატახტრის ლოგისტიკისა და შესყიდვების დირექტორი;

2010-2011 წლებში – სს „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ შესყიდვების, ლოგისტიკისა და ადმინისტრაციის დირექტორი;

2011-2012 წლებში – შპს „დიპლომატ ჯორჯიას“ ლოგისტიკის დეპარტამენტის დირექტორი;

2012 – 2014 წლებში იყო საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილე;

2014 – 2018 წლებში – საქართველოს თანაინვესტირების ფონდის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე; საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი;

2018 – 2021 წლებში – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე;

2021 წლის 22 თებერვლიდან დღემდე არის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ცნობა

მაკა ბოჭორიშვილი დაიბადა 1978 წლის 15 აგვისტოს, საქართველოში, ქალაქ თბილისში;

2020 წლიდან 2024 წლამდე იყო მეათე მოწვევის პარლამენტის წევრი, ეკავა ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა; იყო საგარეო ურთიერთობების კომიტეტის წევრი; ხელმძღვანელობდა საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო ასოცირების კომიტეტში (EU-Georgia PAC) და ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეაში (EURONEST PA) საქართველოს მუდმივმოქმედ დელეგაციებს; იყო ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის (OSCE PA) დელეგაციის წევრი, გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს და ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს წევრი;

2020 წლიდან დღემდე არის პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტიკური საბჭოს წევრი;

1999 წლიდან 2020 წლამდე მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე, მათ შორის:

2018-2020 წლებში იყო ბელგიის სამეფოში საქართველოს საელჩოსა და ევროკავშირში საქართველოს წარმომადგენლობაში საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი;

2015-2018 წლებში იყო ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასა და ქ. ვენაში განლაგებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობაში საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი და საქმეთა დროებითი რწმუნებული;

2014-2015 წლებში ეკავა საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის თანამდებობა;

2010-2014 წლებში იყო ბელგიის სამეფოში საქართველოს საელჩოსა და ევროკავშირში საქართველოს წარმომადგენლობის მრჩეველი;

2009-2010 წლებში ეკავა ევროკავშირ-საქართველოს შორის ურთიერთობების სამმართველოს უფროსის თანამდებობა;
2005-2009 წლებში იყო ბელგიის სამეფოში საქართველოს საელჩოსა და ევროკავშირში საქართველოს წარმომადგენლობის მეორე მდივანი;
1999-2005 წლებში იკავებდა საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივ დეპარტამენტში სხვადასხვა თანამდებობას;
2000-2005 წლებში იყო ლექტორი საქართველოს დიპლომატიურ აკადემიაში;
2000 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი;
1999 წელს წარჩინებით დაამთავრა ქართული დამოუკიდებელი დიპლომატიური აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი;
2007-2008 სწავლობდა ბელგიაში ქალაქ ბრიუსელში საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიის ევროპული კვლევითი ცენტრის (CERIS) საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამაზე;

მიღებული აქვს საქართველოს სახელმწიფო ჯილდო – ღირსების ორდენი;

ფლობს ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ, იტალიურ ენებს.

ჰყავს ერთი შვილი.

ცნობა

ლაშა ხუციშვილი დაიბადა 1985 წლის 2 სექტემბერს, ქ. თბილისში;

2006 წელს დაამთავრა ბიზნესსკოლა ESM (თავისუფალი უნივერსიტეტი) ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;

2006 წელს – პრესტონის უნივერსიტეტი, საბაკალავრო პროგრამა – მენეჯმენტი;

2007 წლის ივნისიდან 2008 წლის აგვისტომდე მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს აპარატში;

2008 წლის აგვისტოდან 2013 წლის იანვრამდე – საერთაშორისო კომპანია Ernst & Young (ერნსტ ენდ იანგ) თბილისის ოფისში, საგადასახადო და იურიდიულ განყოფილებაში;

2013 წლის იანვრიდან 2014 წლის თებერვლამდე იყო სსიპ – შემოსავლების სამსახურის უფროსი;

2014 წლის თებერვლიდან 2021 წლის აპრილამდე – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე;

2016 წლის ივლისიდან 2020 წლის სექტემბრამდე – ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) და დიდი ოცეულის (G20) მიერ ინიციირებული დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის (BEPS) ინკლუზიური პლატფორმის ხელმძღვანელი ჯგუფის (Steering group) არჩეული წევრი;

2021 წლის პირველი აპრილიდან არის საქართველოს ფინანსთა მინისტრი;

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს;

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ცნობა

ვახტანგ გომელაური დაიბადა 1975 წლის 24 დეკემბერს;

2003 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია;

1994 – 2003 წლებში მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში;

2003 წლის აპრილიდან 2013 წლის მარტამდე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტში;

2013 წლის 22 მარტიდან 2014 წლის 11 დეკემბრამდე იყო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;

2014 წლის 11 დეკემბრიდან 2015 წლის 26 იანვრამდე – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე;

2015 წლის 26 იანვრიდან 2015 წლის 1 აგვისტომდე – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი;

2015 წლის 1 აგვისტოდან 2019 წლის 8 სექტემბრამდე – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი;

2019 წლის 8 სექტემბერს დაინიშნა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად;

2019 წლის 19 თებერვალს დაეკისრა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივნის ფუნქცია;

2019 წლის 25 აპრილს მიენიჭა „სახელმწიფო უსაფრთხოების გენერალ-ლეიტენანტის“ უმაღლესი სპეციალური წოდება;

2019 წლის 8 სექტემბერს მიენიჭა „პოლიციის გენერალ-ლეიტენანტის“ უმაღლესი სპეციალური წოდება“.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ცნობა

თეა ახვლედიანი დაიბადა1975 წლის 10 იანვარს, ქ. თბილისში;

1996 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობით;

2007 წელს დაამთავრა ბელგიის სამეფოში ბრიუსელის დიპლომატიური სკოლის (CERIS-ULB, ბელგიის სამეფო, ქ. ბრიუსელი) სამაგისტრო კურსი საერთაშორისო პოლიტიკაში (შეფასებით Summa cum laude);

1999 – 2012 წლებში გავლილი აქვს მრავალი სასწავლო-აკადემიური და პროფესიული კურსი საქართველოში, ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში: დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის, მოლაპარაკებების უნარ-ჩვევების, ევროპული ინტეგრაციის, ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების, ეკონომიკური დიპლომატიისა და მსოფლიო ვაჭრობის, უსაფრთხოების პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროებში;

1997 წლიდან 22 წლის მანძილზე მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში საქართველოს ევროინტეგრაციის მიმართულებით;

1997 წლიდან 2004 წლამდე ის მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე, ატაშეს დიპლომატიური საფეხურიდან დეპარტამენტის დირექტორის პოზიციამდე;

2004 – 2008 წლებში იყო ბენილუქსის ქვეყნებში საქართველოს საელჩოსა და ევროკავშირთან საქართველოს მისიის (ბრიუსელი, ბელგია) მრჩეველი;

2008 – 2014 წლებში – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი;

2010 – 2013 წლებში იყო საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების გენერალური აღმასრულებელი მდივანი;

2014 – 2019 წლებში – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ესტონეთში;

2019-2020 წლებში – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე შრომითი მიგრაციის საკითხებში;

2020 წლის 6 აგვისტოდან დღემდე არის შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი;

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი;

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, პირველი კლასის „ტერა მარიანას“ ჯვრის ორდენითა და „მერიტ სილვერ“ მედლით;

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს;

ჰყავს ერთი შვილი.